



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### აბუ დულაფი

აბუ დულაფი მისარ იბნ მუჰალჰილ ალ-ხაზრაჟი ალ-იანბუი, X ს. არაბი პოეტი, მეცნიერი და მოგზაური.

იმოგზაურა ჩინეთში, ინდოეთში, ირანსა და სამხრ. კავკასიაში. X ს. 50-იან წლებში იყო თბილისშიც. ეს მოგზაურობები აღწერილია მის ორ „რისალაში“ (წერილი, დღიური), რთაგან პირველი ეძღვნება მოგზაურობას ჩინეთსა და ინდოეთში, მეორე – ირანსა და სამხრ. კავკასიაში. საინტერესოა ა. დ-ის ცნობები ძვირფას წიაღისეულ სიმდიდრეებზე, მინერ. წყაროებსა და სამკურნალო მცენარეებზე. მეორე „რისალა“ ბევრ საინტერესო ცნობას შეიცავს აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს შესახებ. ა. დ-ს ეკუთვნის X ს. თბილისის აღწერილობა: „...ესაა ქალაქი, რომლის იქითაც აღარ ვრცელდება ისლამი. ქალაქში მიედინება მდინარე, რომელსაც ეწოდება ალ-ქურრი (მტკვარი) და რომელიც ერთვის ზღვას. მასზე დოლაბებია საფქვაავად. ქალაქს არტყია დიდი გალავანი. იქ არის ძალიან ცხელი აბანოები, რომლებიც არ საჭიროებს არც გაცხელებას და არც წყლის ამოქაჩვას“.

*თბზ.*: Вторая записка Абу Дулафа, Изд. текста и пер. П. Г. Булгакова и А. Б. Халидова. М., 1960.

**ე. სიხარულიძე**

---